05/12/2025

MES 2 25 0001739983

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 24.11.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 16:35 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1) ა (ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი:

ირმა ჯანაშვილი - გაერთიანების დირექტორი;
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი:
რუსუდან არაბული - ბაგა-ბაღის მენეჯერი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი:
თინათინ ჯანაშვილი - ბაგა-ბაღის მენეჯერი

2) ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება:
ნინო ბარამიძე - გაერთიანების დირექტორი
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - სოფელი ხიდისთავის:
ნანი გოგიბერიძე - საბავშვო ბაღის გამგე;
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - სოფელი სამებას საბავშვო ბაღი:
სოფიკო ჯინჭარაძე - საბავშვო ბაღის გამგე;
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი საჭამიასერის საბავშვო ბაღი:
მაია ფილიშვილი - საბავშვო ბაღის გამგე.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრისსოფელი ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი:
მადონა ქეშიკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევანი ბერუაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამილა გრძელიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრში შემავალი სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი:
მადონა ქეშიკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევანი ბერუაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
დალი მედოიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამილა გრძელიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - სოფელი ხიდისთავის**;
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ხათუნა მჟავია - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნატო ჯინჭარაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - სოფელი სამებას საბავშვო ბაღი
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ხათუნა მჟავია - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნატო ჯინჭარაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი საჭამიასერის საბავშვო ბაღი;
მაკა ჭყონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ხათუნა მჟავია - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნატო ჯინჭარაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ბაია აბაშიძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრში შემავალი სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრში შემავალი სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელი ხიდისთავის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელი სამებას საბავშვო ბაღისავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელი საჭამიასერის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს სხდომის ეფექტური ორგანიზებისა და შეფასების პროცესში ჩართული მხარეებისათვის მოქნილი სამუშაო პირობების შეთავაზების მიზნით, საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც ცენტრის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება ონლაინ ჩართვა Zoom-ის აპლიკაციის მეშვეობით.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრისსოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 80 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო, მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვების მიმართულებით ხარვეზები იდენტური იყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ორივე ბაღთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მე-4 სტანდარტის 4.4 კომპონენტის შეუსაბამობის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა, ირმა ჯანაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ხორცი მიეწოდება კვირაში ორჯერ ყინულიანი მანქანით და ყველა მოთხოვნის დაცვით, აღნიშნული პროდუქტი 48 საათში უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ბავშვების მცირე კონტიგენტის გამო, ვერ ხერხდება პროდუქტის კვირაში სამჯერ მოწოდება. მან ასევე დასძინა, რომ აღნიშნული პრობლემა ვერ მოგვარდებოდა ორ წლის ვადაში რადგან, პროდუქტის შესაძენად ცხადდება ტენდერი, გამარჯვებული კომპანია, აღნიშნულ პროდუქტის მოწოდებას ახდენს თბილისიდან, რაც ხარჯებთან, დროსთან და მანძილთან არის დაკავშირებული.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, თუ ცდილობდა დაწესებულება საქონლის ხორცის ცალკე გამოტანას სატენდერო მომსახურებაზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი მიწოდება ახლო ტერიტორიიდან და ხედავენ თუ არა გამოსავალს ამ ნაწილში.

კვების დარგში ექპერტმა, დალი მედოიძემ, განმარტა, რომ დაწესებულება შესაბამისი კოდით აწარმოებს ტენდერის გამოცხადებას, თუმცა დაწესებულებას არ აქვს მექანიზმი სატენდერო შერჩევის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის, რის გამოც პროცესი ხშირად იშლება. ექსპერტის განმარტებით, მომავალი წლიდან გამოცხადდება ახალი ტენდერი, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული დაწესებულების საჭიროებებსა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა, აქვს თუ არა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შესაძლებლობა, რომ შემოტანილი ნედლი ხორცი 48 საათის განმავლობაში შეინახოს სამაცივრე დანადგარში, როგორც ამას ტექნიკური რეგლამენტი მოითხოვს და ორი დღის განმავლობაში მოამზადოს შესაბამისი სადილი. ასვე, რამდენად არის გაერთიანება უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის მაცივრით.

ექსპერტმა, დალი მედოიძემ, აღნიშნა, რომ ხორცი დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიეწოდება ორშაბათს და ოთხშაბათს, მაშინ როცა მენიუში მისი გამოყენება დაგეგმილია სამშაბათსა და პარასკევს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ორ ინტერვალს, რაც დადგენილია შესაბამისი წესით, არაფერი არღვევდეს. ხორცის მესამე დღეზე გადატანა (მაგ., ოთხშაბათის მიწოდებული ხორცის პარასკევამდე შენახვა) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მოდის, შესაბამისად, დაწესებულებას არ აქვს შესაძლებლობა მესამე დღისთვის ხორცი დაამატოს, ხორცის მიღება უნდა განხორციელდეს ისეთი გრაფიკით, რომელიც ორდღიან ინტერვალს დაიცავს და სრულ შესაბამისობაში იქნება მენიუს დაგეგმილ დღეებთან. ექსპერტის ცნობით, ხორცის მიწოდების დღეები საჭიროებს კორექტირებას, რათა არ მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა და მენიუს მოთხოვნების იგნორირება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიმართა რეკომენდაციით: ერთი წლის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვის დავალება ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კვების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვა. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი, ნატო შეროზია, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული საკითხით, რომელიც ეხებოდა პერსონალის მართვასა და პროფესიულ განვითარებას და მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელს კითხვით, თუ რა გეგმა ჰქონდათ გამოვლენილ ხარვეზთან მიმართებით.

გაერთიანების დირექტორმა, ირმა ჯანაშვილმა, განმარტა, რომ დაგეგმილია საგანმანათლებლო შტატების დაშვება და არასაკონტაქტო საათების გამოყოფა პედაგოგებისთვის, რაც გაათავისუფლებს დროს კომუნიკაციისთვის და სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:08
დასრულების დრო - 14:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრს (სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 26 სექტემბრისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის (სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო, მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვების მიმართულებით ხარვეზები იდენტური იყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ორივე ბაღთან მიმართებით.

საბჭოს თავჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ავეჯის ზომების შეუსაბამობის საკითხით.
ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, განსაზღვრულია თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი ზომის მაგიდები, სკამები და საწოლები, ხილო, დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის დროს აღნიშნულთან დაკავშირებით დადგინდა ხარვეზი. ამ ხარვეზთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ფანჯრის რაფების სიმაღლით.
ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, განმარტა, რომ ფანჯრის რაფების სიმაღლე 90 სმ-ზე დაბალი იყო, ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, ამ შემთხვევაში, საჭიროა აუცილებელი

დამცავი ბარიერი, რაც არ ჰქონდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, მათ წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმა.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ეზოს უსაფრთხოებით.
ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, განმარტა, რომ ეზოში არსებული ნიჟარა არ იყო უსაფრთხო ბავშვებისთვის და სწორე ეს გახდა საფუძველი ხარვეზისა. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს თუ აქვს შემუშავებული სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა და ჰყავთ თუ არა შესაბამისი კვალიფიციური კადრი.
გაერთიანების დირექტორმა, ირმა ჯანაშვილმა, უპასუხა, რომ ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო ცენტრს ჰყავს შესაბამისი, კვალიფიციური ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ირინა ფიროსმანაშვილი.
გაერთიანების ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა, ირინა ფიროსმანაშვილმა, დაამატა, რომ მას აქვს გამოცდილება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის, შემუშავებული აქვს ბავშვთა განვითარების ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც შეთანხმდება მშობლებთან და ისინი სრულად იქნებიან ჩართულნი სასწავლო პროცესში.
საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა გაერთიანების წარმომადგენელს, არსებობდა თუ არა გაწერილი შესაბამისი დოკუმენტი.
გაერთიანების წარმომადგენელმა, ირინა ფიროსმანაშვილმა, განმარტა, რომ მათ ამ ეტაპზე არ აქვთ შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა, შედგება შესაბამისი კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე.
საბჭოს წევრმა ნანა ათუაშვილმა მიმართა გაერთიანებას რეკომენდაციით, რომ სამომავლოდ არსებობდეს აღნიშნული დოკუმენტი, რაზეც გაერთიანება დაეთანხმა და მიიღო რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა რომ მეოთხე სტანდარტის 4.4 კომპონენტთან მიმართებით სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღის მსგავსი შეთხვევაა სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღში. შესაბამისად, მან დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიმართა რეკომენდაციით: ერთი წლის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვის დავალება ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კვების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვა. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:41
დასრულების დრო -14:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო ცენტრის (სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრს (სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 26 სექტემბრისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14-15 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა, თუ რა გეგმა ჰქონდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მშობელთა ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით.

გაერთიანების ხელმძღვანელმა, ნინო ბარამიძემ, განმარტა, რომ მშობლები ჩართულნი არიან მეორადი რესურსის მოძიებაში და ასევე წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:40
დასრულების დრო - 15:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალს (სოფელ ხიდისთავის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 ოქტომბრისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ სამებას საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელ სამებას საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16-17 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა დაწესებულება რა ტიპის გათბობით იყო უზრუნველყოფილი და სანიტარული კვანძების მოწესრიგებასთან დაკავშირებული ქმედებები რამდენად განხორციელებადი იქნებოდა 2 წლის ვადაში.
ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის ხელმძღვანელმა, ნინო ბარამიძემ, განმარტა, რომ დაწესებულება თბებოდა ღუმელის საშუალებით, თუმცა შესაბამისობის გეგმის მიხედვით მოეწყობოდა ცენტრალური გათბობის სისტემა და სანიტარული კვანძები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა (განათლების საკითხებში), ეკატერინე გურჯიშვილმა, დამატებით განმარტა, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობები შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიასთან და განსაზღვრული ვადების დაცვით დაწესებულებაში მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა და სანიტარული კვანძები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:08
დასრულების დრო - 16:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავილის (სოფელ სამებას საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალს (სოფელ სამებას საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 ოქტომბრისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18-19 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ახსენა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა და რეკომენდაციას უწევს 15 ბავშვის ადგილების ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა, მაკა ჭყონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:25
დასრულების დრო - 16:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალის (სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება მომავალს (სოფელ საჭამიასერის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 20 ოქტომბრისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე